საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 7 17 01385896

10/11/2017

შპს "თაიმსერვისის" დირექტორს,
ბატონ სულეიმან ჩიხლაძეს

მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ.
ტელ: +995 579 287 757

ბატონო სულეიმან,

როგორც თქვენთვის ცნობილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს „თაიმსერვისს“ შორის 2017 წლის 14 სექტემბერს გაფორმდა N09-111/2 ხელშეკრულება საქართველოს (შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონი) საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე.

აღნიშნული ხელშეკრულების მე-8 მუხლის თანახმად - შესაბამისი რესურსცენტრის ანგარიშის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე, შპს „თაიმსერვისის“ მიერ 15 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში შეუსრულებელი ან/და ხარვეზით შესრულებული სატრანსპორტო მომსახურებაზე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხა შეადგენს 309,91 (სამასცხრა ლარი, 91 თეთრი) ლარს.

გაწვდით ბიუჯეტის ერთიანი ანგარიშის რეკვიზიტებს:

მიმღები _ **ერთიანი ანაგარიში;**
მიმღების ბანკი _ **სახელმწიფო ხაზინა;**
ბანკის კოდი _ **TRESGE22;**
ანგარიშის ნომერი _ **GE24NB0330100200165022;**
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი _ 302003287 (შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

გთხოვთ, ზემოაღნიშნული საჯარიმო თანხა - **309,91 ლარი** ერთი თვის ვადაში გადაიხადოთ ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოადგინოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი



მამუკა ბერიძე